“ლიტერატურული ძიებანი” (“Literary Researches”), ტ. XXIII, 2002.
ფოლკლორისტიკა
ანოტაციები:

გივი ახვლედიანი

მზის ღვთაებათა საგალობლები

წარმართობის ხანაში მზეს სხვადასხვა საგალობლები ეძღვნებოდა, მათ შორის – საწესო საფერხულო ლექსი-სიმღერა “იავნანა”. იგი მზის ღვთაება ნანა-სადმი მიძღვნილი საგალობელია. ქრისტიანობის გავლენით დიდი დედა ნანას კულტს წმ. ბარბარეს კულტი შევრწყო და ლექს-სიმღერა “იავნანაც” ბარბარეს სახელს დაუკავშირდა, ხოლო დიდი დედა ნანას სახელი მხოლოდ რეფრეწემმა შემოინახა.
“იავნანას” მელოდიამ ჰანგმა კეთილმყოფელი გავლენა მოახდინა საწესო საფერხულო, შრომისა და საყოფაცხოვრებო ლექსთსიმღერებზე, აგრეთვე ქართულ მხატვრულ ლიტერატურაზე.
მზის ღვთაებათა საგალობლებში ნათლად წარმოჩინდა ქართველი ხალხის რელიგიური აზროვნების უღრმესი შრეები, უხოვარი დროიდან მომდინარე წესები და ჩვევები, ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებთან (ბაბილონი, შუმერი, ასურეთი) რელიგიური, კულტურული ურთიერთობანი.

ბელა მოსია

მზის ფუნქციური მრავალმხრივობის საკითხი ქართულ ფოლკლორში

ქართულლორში მზეს უდიდესი ადგილი უჭირავს, იგი მაღლის მფენია, სიცოცხლის წყაროა. მსგავსია ადამიანის თვალის, ასევა ცის ბინარებთან ერთად მონაწილეობს ბედის განსაზღვრაში. მზის სიმბოლურ სახეცვლილებად შეიძლება მივიჩნიოთ სისხლი და რძე. რძე მაგიური თვისების მქონეა, რომელიც ანიჭებს სიცოცხლეს და ამავე დროს გრძნეულ ძალებს აცილებს მავნებლობას.

რუსუდან ჩოლოყაშვილი

ცხოველთა ეპოსი და იგავი

ცხოველთა ეპოსსა და იგავს შორის განმასხვავებელი ნიშნებია:
1.ზღაპრის გმირისათვის გამარჯვების მოსაპოვებლად ყველა საშუალება მისაღებია, რადგანაც ცხოველთა ეპოსში უძველესი ხალხის არსებობისათვის ბროლაა ასახული და არა მორალი და ეთიკა იგავის მსგავსად;
2.ცხოველთა ეპოსის გმირი გარკვეული ტომის წარმომადგენელია და არა ალეგორიული სახე უარყოფითი თვისებების მქონე, ან გასაკიცხი სოციალური ფენის წარმომადგენელი ადამიანისა;
3.ცხოველთა ეპოაში ტოტემის სახელით წოდებული ადამიანები მოგვითხრობენ თავიანთი ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებზე და არა ალეგორიულად კეთილისა და ბოროტის დაპირისპირებაზე. მათ მიერ მოპოვებული გამარჯვება ხალხის მომავალი წარმატების საწინდარი იყო. ე. ი. ცხოველთა ეპოსი და იგავი სულ სხვადასხვა აზრს გადმოგვცემენ და სხვადასხვა მიზნებსაც ემსახურებიან. პირველი ხომ უძველეს ეპოქაშია შექმნილი, მეორე – კი გაცილებით უფრო გვიან – ცალკეულ ავტორთა შემოქმედებით.